ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**გ-87. 87241222**
თარიღი:**01/05/2024**

განკარგულება №27

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ჯოყოლოში მდებარე შენობის (ს/კ - 50.07.31.048) პირველ სართულზე მდებარე 151.50 კვ.მ ფართობის ა(ა)იპ „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი“-სთვის (ს/ნ - 224631682) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს - განახორციელოს **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ჯოყოლოში მდებარე შენობის (ს/კ 50.07.31.048) პირველ სართულზე მდებარე 151,50კვ.მ ფართობის ა(ა)იპ „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი“-სთვის (ს/ნ - 224631682) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემა.**

2. დამტკიცდეს განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული უძრავი ქონების:

   ა) სარგებლობის უფლებით გადაცემის წლიური ქირის საფასური - 1265.00 (ერთიათასორასსამოცდახუთი) ლარის ოდენობით;

   ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 10 წლით.

3. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM